№ 188 სექტემბერი 8, ხუთშაბათი 1888 სექტემბერი 8 ხუთშაბათ № 188


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 სექტემბერს.**


ვმზებ ფრანგულის ენის გაკვეთილებს.

პეტრე მირიანიშვილი.

მეორე ნაგორნის ქუჩა, № 9. (10—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების"

გამგეობა

აცხადებს, რომ სოფ. თონეთის (ტფილისის მაზრა) სკოლაში თავისუფალია მასწავლებლის ადგილი. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა გამოგზავნოს თხოვნა საზოგადოების კანცელარიაში.


ტფილისი, 7 სექტემბერი

ამ მოკლე ხანში გერმანიამ ორი იმპერატორი დამარხა და მესამეს, ახალს ჩააბარა თავისი სვე ბედი. ამ ზედიზედ ცვლამ იმპერატორებისამ იმისთანა ქვეყანაში, რომელიც დღეს თითქმის მარტო ჰბატონობს ევროპაში და საქვეყნო პოლიტიკას ციბრუტივით ატრიალებს, ენა მუცელში ჩაუგდო სიტყვა-მოყვარულს დიპლომატიას, ხმა გააკმენდინა და მარტო ყურები ააცქვეტინა—იცა, რა გამოვა რისაგანაო. მას აქეთია დიპლომატია გუდა-მეძებარსავით დაჰქრის ბარდებში, ხან იქა ჰსუნავს, ხან აქა და მაინც თ. ბისმარკის ნასკვებს ვერც თავი უპოვნა და ვერც ბოლო.

გერმანიის ახალმა იმპერატორმა დაიმკვიდრა მამა-პაპათა სამკვიდრებელი თუ არა, დარბაზობა დაიწყო ევროპაში. ჯერ ხელმწიფე იმპერატორს ეწვია პეტერგოფში, აქედამ შვეციისა და დანიის ხელმწიფენიც ინახულა, ახლა აპირებს ნახვას ავსტრიის იმპერატორისას და იტალიის მეფისას. ვერავის გაუგია ეს სიარული რას მოასწავებს. ზოგი ამბობს, რომ გერმანიის იმპერატორს ეს თავაზით მოსვლისა, ჰსურსო თავისებრ გვირგვინოსნებს პატივი სცეს და სალამი მისცეს მათსავე ქვეყანაშიო. იქნება ესეც იყოს, მაგრამ ამისთანა ამბავი და ეს სალამის სურვილი ვგონებთ პირველი გაგონებაა ევროპაში. თუ ხსოვნა არა გვღალატობს, არც ერთს ახლად გამეფებულს გვირგვინოსანს ესე ერთმანეთზედ მიყოლებული დარბაზობა არ მოუხდენია. აქედამ ის გამოჰყავთ, რომ სჩანს სხვა მიზეზი რამ უნდა იყოს ამ მისვლა-მოსვლისაო. რა მიზეზი უნდა იყოს ამისთანა? აი ამოცანა, რომელსაც ზედ შეეჭრა მახვილ-გონიერება დიპლომატიისა, როგორც ნამგალს ფხა ყანისა. ეს მიზეზი დაბეჯითებით ვერავის აუხსნია ჯერხანად.

კარგა ხანი კია ანდი აუღეს თ. ბისმარკის პოლიტიკას. ორს დიდსა და ძლიერ სახელმწიფოთა, რუსეთსა და საფრანგეთს შუა მომწყვდეული გერმანია მოსვენებული არ უნდა იყოს. ამათ რომ ერთმანეთს ხელი მიაწვდინონ, გერმანიის ძლიერება, გერმანიის სვე-ბედი დიდს ფათერაკსა და განსაცდელში ჩავარდება. რა თქმა უნდა, რომ შორსმჭვრეტელი მჭრელი თვალი ბისმარკისა ამ ვითარებაზეა გაშტერებული და ყოველი მისი ოსტატობა და ხერხიანობა იმას უნდა შეელიოს, რომ ეს ხელის მიწვდენა არ მოხდეს და რუსეთსა და საფრანგეთს შუა ხიდი ჩასტეხოს. საფრანგეთის განშორება რუსეთისაგან ყველად მოუფიქრებელია, იმიტომ-რომ საფრანგეთი მარტო ელზას-ლოტარენის დაბრუნებით დაიმშვიდებს გერმანიაზედ გაბოროტებულს გულსა. გერმანიამ კიდევ თავისის იმპერატორის პირით ამას წინად საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ერთს მტკაველს მიწასაც არავის დავუთმობო, ვიდრე გერმანიას ერთი ჯარის კაცი მაინც კიდევ ეყოლებაო. მაშ აქედამ თ. ბისმარკის ტკივილს არაფერი წამალი მოეპოვება, იგი საფრანგეთის გულს ვერას გზით ვერ მოიგებს და, მაშასადამე, ვერც დაიყოლიებს რუსეთისაგან განზე გადგომისათვის.

ამ სახით გერმანიას თავის გაჭირებისაგან დახსნისათვის ერთი გზაღა აქვს ამ შემთხვევაში: რუსეთს უნდა დაუახლოვდეს და აი, ამბობენ, ვითომც ამ დაახლოვებისათვის წავიდა იმპერატორი ვილჰელმი რუსეთშიო. მაგრამ აქაც ერთი ხიფათია. რუსეთის დაახლოვება მოიპოვება მარტო მაშინ, თუ გერმანია ბალკანეთის პოლიტიკას რუსეთისას ხელს შეუწყობს და მოამხრეობას გაუწევს. ეს საქმე იტალიისთვის და ნამეტნავად ავსტრიისათვის მეტად უამური იქნება და მით უფრო მოუხერხებელი გერმანიისაგან, რომ იტალია და ავსტრია გერმანიასთან ზავ-შეკრულნი არიან და დღეს კუდი-კუდზე აქვსთ გადაბმული. ამ სახით, თუ ავსტრია მოიმდურვა, შესაძლოა, რომ ახლა ავსტრიამ გაუწვდინოს ხელი საფრანგეთსა და მაშინ ისევ ხომ ის გამოვა: ვაის გავეყარე და უის შევეყარეო.

თავიდამ ბოლომდე რაც ბოლგარიის საქმემ თავი წამოჰყო, მას აქეთ ეს გარემოება აბრკოლებს მოქმედებას გერმანიისას და იძულებულ ჰხდის ამ ორ კლდეთ შუა თავისი ნავი ისე ატაროს, რომ არც ერთს კლდეს მოხვდეს და არც მეორეს შეეხალოს. ესეთი ტარება შეუძლებელია და ამ ყოფაშია დღევანდელი ნაღველი თ. ბისმარკისა და ამავე ნაღველში იყო თავდაპირველადვე. ბალკანეთის საქმე ამის გამო თითქო თავ-მინებებულია დღეს და ყველა ერიდება ხელის ხლებას, რომ არაფერი ასტყდეს აქედამა. ის წყურვილი-კი, რომ საფრანგეთი ცალკე გაიყვანოს, მარტო დააგდოს, მეშველი და მომხრე მოაცალოს, გერმანიას დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევს. ეხლა ამბობენ, რომ გერმანია ამ წყურვილის მოკვლას იტალიიდამ მოელისო.

ამ ბოლოს ხანებში თ. ბისმარკმა იმდენი იხერხა, რომ იტალია და საფრანგეთი ერთმანეთს გადაჰკიდა და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ კინაღამ ომი არ აატეხინა ერთმანეთს შორის. აფრიკაში მფლობელობა ხმელთა შუა ზღვის პირებზე დიდად სახარბიელოა საფრანგეთისა და იტალიისათვის, რადგანაც ამ ნაპირების მფლობელი მფლობელი იქნება იმ დიდის გზისა, რომელსაც ეს ხმელთა შუა ზღვა წარმოადგენს. თ. ბისმარკმა აქ მორიდამ დააწყებინა იტალიას აურზაური საფრანგეთის წინააღმდეგ და მასსოვაში, მეწამულის ზღვის პირას, შეარყევინა საფრანგეთის ინტერესი. თ. ბისმარკმა კარგად იცოდა, რაკი აქ დავა აუტყდებოდა იტალიასა და საფრანგეთსა, ტუნისსა და ტრიპოლისზედ ადვილად გადავიდოდა და ტრიპოლისისა და ტუნისის საქმე ხომ უომრად არ გადარჩებოდა,

# ფელეტონი

## ჰამლეტი *)

ამ პოემაში რომ იყო ჰამლეტი, სასახლეში საიდამღაც არტისტთა გუნდი მოვიდა. ჰამლეტს ძლიერ გაეხარდა. იმათი წარმოდგენები მეტად ართობდა წინადაც ახალგაზდა პრინცს. განსაკუთრებით მოსწონდა ამბავი ტროადის მეფის პრიამის უბედურებასა და დაღუპვისა და იმისის მეუღლის ჰეკუბას მოთქმა-ტირილისა. მეტად მხიარული შეხვდა თავისს ძველს ნაცნობებს, მოაგონა ადრინდელი შექცევა და დიდის სიამოვნებით დროს გატარება და თანა სთხოვა, რომ ხელმეორედ წარმოედგინათ ზემოხსენებული ამბავი. არტისტები დასთანხმდნენ, ერთი მათგანი დიდის გრძნობით მოჰყვა, როგორ მხეცურად მოჰკლეს ტროადის სუსტი მეფე, როგორ დააქციეს და დასწვეს ტროადის ქალაქი, როგორ ამოსწყვიტეს მცხოვრებლები, მერმე მოუთხრო ტანჯვა მოხუცის დედოფლისა, რომელიც, თავისის მეუღლის დატანჯვის შემდეგ, ფეხ-შიშველი დაეხეტებოდა სასახლეში; თავზე, სადედოფლო გვირგვინის ნაცვლად, ძველი თავ-საფარი ეხურა, ბეჭებზე, სამეფო მანდილის მაგიერ, დაკონკილი საბანი წამოესხა. არტისტი ისე ცხოვლად, ცოცხლად და გრძნობით მოუთხრობდა ამ ამბავს, რომ მაყურებელთ ტირილი მორთეს, ყველანი პრიამოსსა და ჰეკუბას იბრალებდნენ; თვით არტისტი ხმის კანკალითა და ტირილით ამბობდა ყოველს სიტყვას.

ამ წარმოდგენამ ჩააფიქრა ჰამლეტი. „თუ, სთქვა იმან, ამ არტისტმა შესძლო მაყურებელთა ატირება და აქვითქვითება რამდენისამე ასის წლის წინად მომხდარის ამბის წარმოდგენით, რაღა უნდა იყოს იმ კაცის გული და გრძნობა, რომელსაც გუშინ მოუკვდა მამა, რომელიც საზიზღარის მკვლელობის მსხვერპლი შეიქმნა. რაღა უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც თვალ-წინ უდგას ის მკვლელობა გულ-ცივად უყურებს ამ გარემოებას და რაღაც განუსაზღვრელსა და გაუგებარს მდგომარეობაშია ჩავარდნილიო"... ამასთანავე წარმოიდგინა, თუ რამდენად დიდად ჰმოქმედებს მაყურებელზე გრძნობითა და ცოცხლად წარმოდგენილი ამბავი განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ამბავი ცხოვრების სინამდვილეს დაგვიხატავს თვალწინაო. გაახსენდა ერთი შემთხვევა, როცა მკვლელობას არდგენდნენ სცენაზე. მკვლელობა იგი ისე ცოცხლად და სინამდვილით დაეხატა არტისტს, იმდენი გრძნობა და სიბრალული ჩაერთო ყოველს მიხვრა-მოხვრასა და სიტყვაში ნიჭიერს მსახიობს, რომ მკვლელს ველარ აეტანა სინიდისის მხილება, თავის თავად ვატეხილიყო და საჯაროდ წამოეძახნა: მე ვარ დამნაშავე, მე ვარ მკვლელიო. ამის მიმხედველმა ჰამლეტმა განიზრახა: მოდი, ვსცდი ამ საშუალებას მევეჩეო... მან მოიაზრა პიესა, რომელშიაც მოთხრობილი იყო გარემოება იმასის მამის მკვლელობისა... უნდა წარმოედგინათ ზემოხსენებულს არტისტებს თვით სასახლეში, მეფე-დედოფლის თანადასწრებით. ჰამლეტი მეფე-დედოფლის შორი-ახლოს უნდა დამჯდარიყო და უნდა თვალ-ყური ედევნებინა, როგორ იმოქმედებდა მეფე-დედოფალზე მსახიობის წარმოდგენა. მაშინ დარწმუნდებოდა, რამდენად დასაჯერებელი იყო აჩრდილის ნაამბობი. გაიმართა სცენა სასახლეში.

ჰამლეტის მოაზრებული პიესა ასეთი იყო: ვენაში სცხოვრებდა ერთი მეფე, გონზაგო; ჰყავდა ცოლი—ბაპტისტა. ერთმა უმახლობელესმა ნათესავთაგანმა, ლუციანმა, იმ განზრახვით, რომ ტახტი თვით მიეთვისებინა, მოწამლა მეფე ბაღში. გავიდა რამდენიმე თვე მეფის სიკვდილს შემდეგ და ლუციანს მეფის ქვრივი ცოლად გაჰყვა. იქ მაყურებელს მეფეს აზრადაც არ მოსდიოდა, რა აზრი იმალებოდა პიესაში, ამიტომ თავისის მეუღლითურთა და სასახლის წარჩინებულთა თანადასწრებით მოისმინა მთელი პიესა. ჰამლეტი შორი-ახლოს დაუჯდა მეფეს და შესცქეროდა, აბა რა დაეტყობა მეფის სახესაო. მოქმედება დაიწყეს მეფე-დედოფლის შორის საუბრით, როცა დედოფალი თავისს უწინდელს ქმარს ეფიცებ-ემტკიცება, შენს შემდეგ ყოვლად შეუძლებელია სხვას გავყვეო. დედოფალი ამბობდა: „წყეული ვიყო, თუ მეორე ქმრის შერთვა მოვინდომო; მეორე ქმარს მხოლოდ ის ბოროტი ქალები მიჰყვებიან, რომელნიც ძალადა ჰკლენ პირველებსაო". ჰამლეტმა შეატყო, რომ ამ სიტყვებმა საკე შეუცვალეს დედოფალს; მეფე-დედოფალი აირივნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლუციანი ბაღში ფეხ-აკრეფით მიეიდა მძინარე მეფის მოსაწამლავად და როცა მიეპარა და საწამლავი ჩააწვეთა ყურში, აი ამ სცენამ თავს ზარი დასცა მეფე-დედოფალს. ეს მკვლელობა და კლავდიოს მოწამლვა ისე ჰგვანდა ერთმანეთს, როგორც [illegible] გაჭრილი ვაშლი, ანუ ტყუპი თხილ[illegible] გრც (კლავდიოც) აგრე ეპარებოდა თავისს ძმას მოსაწამლავად, როცა განსვენებულს ბაღში ეძინა, სწორედ ასე და ამ ნაირად მოსწამლა თავისი ღვიძლი ძმა. და ახლა ყველა ამ გარემოებამ თავისის საშინლობებით თვალწინ გაუჩინა უსამართლო მკვლელს. სინიდისმა ისე მკაცრად დაუწყო მხილება, რომ ველარ გასძლო მჯდომარემ, მოითმინა ცეცხლი საძილო ოთახში, უეცარი ავადმყოფობა მოიმიზეზა და დარბაზიდამ გამოვიდა. მეფე გავიდა თუ არა, ფარდაც ჩამოეშვა.

ჰამლეტი ახლა-კი დარწმუნდა, რომ საიქიოდამ მოვლინებულის სულის ნათქვამი ყოველივე ნამდვილი და ჭეშმარიტი იყო და არა ეშმაკის მოგონილი მანქანება. ეჭვები განეფანტა. მან ახლა სრულიად დააჯერა გული, რომ მისი საყვარელი მამა კლავდიოსმა მოჰკლა. „ვეფიცები, ჰორაციო, ათასი გირვანქა სტერლინგი ცოტაა საჩუქრად იმისთვის, ვინც აჩრდილის ამბავი მახარა, მაგრამ აბა როგორ მოხერხდება იმისი დაჯილდოვებაო", — უთხრა ჰამლეტმა თავისს მეგობარს და თან განაგრძო: «მე არ მინდა მეფის მოკვლა დედოფალთან მოულაპარაკებლად, ამიტომ გთხოვ, მეგობარო, მოახსენე დედოფალს, რომ ნახვის ნება მიბოძოს, ორიოდე სიტყვა მაქვს საიდუმლოდ სათქმელი».

მეფე ადრეც ეუბნებოდა დედოფალს, მოელაპარაკე შენს შვილს და აგრძნობინე, რომ იგი ამ ბოლოს დროს რაღაც შეუსაბამოდ და უხამსად იქცევაო და თუ ასე მოიქცა, მე იმისი დიდი უკმაყოფილო შევიქნებიო. აი, ახლა დადგა მარჯვე დრო მოლაპარაკებისა, მაგრამ მეფეს ამისიც ეშინოდა, ვაითუ დედოფალმა ყველაფერი არ გადმომცეს, რასაც ჰამლეტი ეტყვისო: დედოფალს შვილის სიყვარული კიდევა აქვს და ამიტომ არ მოინდომებს, რომ დაემდუროს ჰამლეტსაო. ძლიერ უნდოდა-კი, რომ ყოველივე სიტყვა, რასაც ჰამლეტი დედას ეტყოდა, უკლისად გაეგო. ამიტომ თავისის სასახლის პირველს ვეზირსა და მესაიდუმლეს უბრძანა, დედოფლის კაბინეტის ფარდებში დაიმალე და ყური უგდე დედა-შვილნი რაზე ილაპარაკებენო. ამ გვარს საქმეში პოლონიო ძლიერ დახელოვნებული იყო. მეტის-მეტის დაბალის ზნეობისა გახლდათ, არაფერს საშუალებას არ დაერიდებოდა, ოღონდ სხვისი საიდუმლო-კი გაეგო.

ახლა, როცა ჰამლეტი წარსდგა დედოფლის წინაშე, დედამ დიდი სა-

*) იხ. „ივერია" № 187.

რადგანაც იტალია და საფრანგეთი ორივე ერთნაირად ეტანებიან ერთსაცა და მეორესაც. ეს საქმე აშლიდა ეგვიპტის საქმესაც, სუეზის არხისასაც, სადაც ინგლისიც დიდად გარეულია და ამ სახით ეს სახელმწიფონი ერთმანეთში დაირევოდნენ, ერთმანეთს დაეჯახებოდნენ, საფრანგეთი ომებში გაებმოდა და მაშინ თუ რამ გულში ჯავრი აქვს გერმანიას საფრანგეთზედ, ამ ჯავრს თავისუფლად ამოიყრიდა.

საფრანგეთმა გაუგო ეს ოსტატობა და მასსოვის გამო აშლილი საქმე თავიდამ აიცილა დიდის სიფრთხილითა და წინ-დახედულობით ასე, რომ ამ საქმემ ის მახვილი არ გალესა, რითაც თ. ბისმარკს ჰსურდა გაეგმირა საფრანგეთი. ინგლისიც თითქმის მიუხვდა, რომ აქ თ. ბისმარკს ჰსურს პოლიტიკის გახურებულ თონეში ჩაცვივნული კუტები სხვის ხელით ამოიღოს და სხვის და ექცურებით თვითონ გაძლიერდეს, მაშინ როდესაც უამისოდაც მისი ძლიერება ეხამუშება ინგლისსა. ამის გამო ინგლისმა თითქმის სამეგობროდ პირი იბრუნა საფრანგეთისაკენ და ამან ყურები აცქვეტინა თ. ბისმარკს. ერთს დროს ამ ბოლოს ხანებში ხმებიც იყო, ვითომც საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი ერთმანეთს მოუტკბილდნენო. ამის მნახველმა თ. ბისმარკმა იტალიას ურჩია, მეტის-მეტად ნუ გაიზვიადებ თავსა და განგებ გაფიცხებული მასსოვის საქმე როგორმე გაანელეო. ეს საქმე დღეს არამც თუ განელდა, მთლად ჩაჰქრა კიდეც ასე, რომ ჯერ ხანად აქედამ საფრანგეთს არავითარი განსაცდელი არ ჰოელის და, მაშასადამე, ევროპაც ჯერ ხანად აქედამ უშიშარია.

ეს ხომ ასეა, ხოლო საკვირველი ის არის, როცა თ. ბისმარკს ევროპაში კოჭი აღჩუდ არ დაუჯდება ხოლმე, მაშინვე შუა აზიაში, სადაც ინგლისი და რუსეთი ერთმანეთში მოსარიგებელნი არიან, საქმეები აიწეწება და საწყალი აბდურახმანი, ემირი ავღანისტანისა, ბეწვზედ დაეკიდება ხოლმე. ვისი ხელი ატოკებს იქ მართულებს, გულ-ახდილად არავინ ამბობს, ხოლო ვის არა ჰსურს, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა სადავიდარაბო და სამტრო საგანი არ არსებობდეს, ეს ყველამ კარგად იცის. დღესაც შუა აზიაში, სახელდობრ ავღანისტანში, არეულობაა და ტახტს ემირისას ეხლანდელს ემირს ეცილებიან აჯანყებულნი. ამ აშლილობას არ შეიძლება რუსეთმა და ინგლისმა ყური არ ათხოვონ, რადგანაც ორივესათვის დიდი ინტერესია ორ მოცილეთა შორის ვინ გაიმარჯვებს და ამიტომაც ინგლისისა და რუსეთის იქ ერთმანეთზედ გადაკიდება ჯერ ერთი რომ ევროპიის საქმეთათვის იმოდენად ვერ მოაცლის ვერც ერთსა, — და მეორე ისა, რომ ამ ორთა სახელმწიფოთა შორის განხეთქილება მოხდება. ერთიცა და მეორეც ხელთ-შემწყობია გერმანიისათვის და იმის მომხრეთათვის.

ამ სახით ჯერ ხანად ევროპა მიჩუმებულია, ყოველივე მწვავი საქმე, როგორც, მაგალითებრ, ბალკანეთისა და სხვა ამისთანისა, მიძინებულია და ესეც იქნება, ვიდრე თ. ბისმარკს აღჩუ დაუჯდებოდეს. სხვა სახელმწიფონი რაც გინდ ერთმანეთზე გულ-ამღვრეულნი იყვნენ, რაც გინდ მოწადინებულნი იყვნენ ერთმანეთს ცხვირ-პირი დააკაწრონ, ომის ატეხას ვერ გაბედვენ, თუ გერმანიამ არ მოიწადინა. გერმანია-კი არ მოიწადინებს ომს იმ დრომდე, ვიდრე თავის საქმეს ისე არ გასჩარხავს, რომ გამარჯვება უეჭველი იყოს ნიშანში ამოღებულ მტერზედა და რომ სამტროდ ნიშანში ამოღებული ჰყავს გერმანიას ევროპაში ორში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, ამას ეჭვი არ უნდა. ამ ორში ერთის ამორჩევა იმდენად გერმანიის სურვილზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც გარემოებაზედ: სადაც წვრილი გამოაჩნდება დღევანდელს გაჭიმულს თოკს პოლიტიკისას, იქ ეცდება გერმანია თოკის გაწყვეტას.

ამ დრომდე, რასაკვირველია, თ. ბისმარკი სულ იმას იძახებს და იძახის კიდეც, რომ ყოველი ჩემი მეცადინეობა მშვიდობიანობას მოასწავებსო და ეს ძახილი დასაჯერიც არის იმ დრომდე, ვიდრე ომი შესაძლებელი იქნება გერმანიისათვის.

## ახალი ამბავი

⁂ წელს სემინარიაში შესასვლელად ჩამოვიდა დიდ-ძალი ახალგაზდობა სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებული, მაგრამ სემინარიის მთავრობას ძალიან უჭირდა იმ ყმაწვილების მიღება, რომლებიც წლოვანებაზედ გადასულნი იყვნენ. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ეგზარხოსს პალლადის უბრძანებია, რომ ამ ყმაწვილებს ნუ დააბრკოლებენ და მისცენ საშუალება სწავლა განაგრძონ. ეს ამბავი, რასაკვირველია, ფრიად სასიხარულო და სასიამოვნო იქნება ჩვენის სამღვდელოებისათვის.

⁂ ამ ზაფხულს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრი ბ-ნი ტრეგულოვი გაგზავნილ იქმნა ზაქათალისა და ნუხის მაზრებში, საიდგანაც, როგორც შევიტყვეთ, ჩამოუტანია ყოველ გვარ სამეურნეო ნაწარმოების ნიმუშები. ეს ნიმუშები განხილულ იქნება ამავე საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზედ.

⁂ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „სამის თავგადასავალი", მოთხრობა ანტონ ფურცელაძისა. ეს მოთხრობა პირველად 1866 წ. „ცისკარში" დაიბეჭდა და 1867-ს წელს რუსულად იქმნა გადათარგმნილი და დაბეჭდილი „ტფილისის სალიტერატურო ფურცელში", რომელიც იმ დროს გაზეთის „კავკასის" დამატებად გამოდიოდა.

⁂ მოსკოვის საიმპერატორო საარხეოლოგიო საზოგადოებას განუზრახავს მთელის იმპერიის საარხეოლოგიო რუკას შედგენა და გამოცემა. რუკაზე აღნიშნული იქნება არხეოლოგიურის მხრივ ყველა შესანიშნავი ადგილები. საზოგადოება სთხოვს შემწეობას სამღვდელოებას და ყველას, ვისაც დახმარება შეუძლიან. ამიტომ საზოგადოებამ მიმართა ჩვენს ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალლადის, რომელმაც შესაფერი განკარგულება მოახდინა. ბლაღოჩინებს აცნობა ეს გარემოება, რომელთაც მიწერილობასთან ერთად ეგზავნებათ არხეოლოგიის საზოგადოების „კითხვათა სია" და ამ კითხვათა მიხედვით სამღვდელოებამ უნდა პასუხი აგოს და დაუბრუნოს უკან საარხეოლოგიო საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენი სამღვდელოება, თუ შრომას არ დაიზარებს, დიდს სამსახურს გაუწევს საზოგადოებას.

⁂ ჩვენს ქალაქში თანდათან უფრო მატულობს მუსიკის მცოდნეთა რიცხვი და რომ გვარიანადაც მატულობს, ამას საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოებისა და სასწავლებლის ტფილისის განყოფილების $188^{6}/_{7}$ წლის ანგარიში აშკარად ამტკიცებს. ეს სამუსიკო სასწავლებელი 1874 წელს იქმნა დაარსებული და წარსულს წელს სწორედ ათი წელიწადი შეუსრულდა არსებობისა. 1883 წლამდე ეს სასწავლებელი ოფიციალურად არ იყო მიჩნეული და ამიტომ სთხოვეს უმთავრესს დირექციას საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოებისას, რომ ამ სასწავლებლის ზედამხედველობაც იმას ეკისრნა, და უმთავრესი დირექციაც დასთანხმდა. შემდეგ, თხოვნის გამოვე და მისის ბრწყინვალების ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის შუამავლობით, 1886 წელს შინაგანთა საქმეთა სამინისტრომ ამ სასწავლებელს საშუალება აღმოუჩინა თავისის მხრივაც და წელიწადში 5,000 მან. დაუნიშნა. ამას გარდა სასწავლებლის არსებობას ძალიან ხელს უწყობდა აგრეთვე ტფილისის საქალაქო თვით-მართველობაც. თუ რა საჭიროება ჰსუფევს მუსიკის შესწავლისა ჩვენში, ამას აშკარად ამტკიცებს შემდეგი სასწავლე-

---

ყვედური დაუწყო: ძლიერ ცუდს ყოფა-ქცევას აღგიხარ ამ ბოლოს დროს; შენის საქციელით მამაშენს ძლიერ აჯავრებო (ჰერტრუდა ახლა მამინაცვალს ჰამლეტის მამად უწოდებდა). მამის მკვლელის მამად წოდება დიდ შეურაცხებად მიიღო ჰამლეტმა და გაბრაზებით უპასუხა: „დედი, მეტი შეურაცხება აღარ შეიძლება ადამიანისა, რომ თქვენ მამაჩემი შეურაცხჰყოთ". დედოფალმა ეს ძლიერ იწყინა და გაჯავრებით წარმოსთქვა: „ეგ პასუხი სრულიად უსაფუძლოაო". „ჩემი პასუხი ასლი პასუხია იმისი, რაც თქვენა მკითხეთო", — მოუჭრა სიტყვა ჰამლეტმა. ახლა-კი დედოფალი გაჯავრდა და წამოიძახა: „ჰამლეტ, ნუ გავიწყდებათ, ვის ელაპარაკებით". „ოჰ, ძლიერ მინდა მავიწყდებოდეს, მაგრამ რომ არ შემიძლიან, — უპასუხა კიდევ ჰამლეტმა: — თქვენ დედოფალი ბრძანდებით, ცოლი თქვენის მაზლისა და დედაჩემი; ძლიერ სასურველი იყო, რომ ან ერთი ყოფილიყავით, ან მეორე და ან არც ერთი". „რაც იყო — იყო; აღარაფერი აღარა ეშველება-რა", სთქვა დედოფალმა თითქო შენანებით და თან საყვედურის კილოთი უთხრა: „შვილო, თქვენ ისე მექცევით, ისე უპატივროდ მიხსენიებთ, რომ იძულებული ვარ სხვას ვისმე მოვუწოდო, რომელსაც შენთან მოლაპარაკება შეეძლოსო". სთქვა და წამოსდგა ან მეფისა და ან პოლონიოს დასაძახებლად, მაგრამ ჰამლეტმა შეაჩერა, თითქმის ძალ-დატანებით; ეგონა, იმდენს ვიმოქმედებ მსჯელობით დედოფალზე, რომ შევანანებ თავისს საზიზღარს ყოფა-ქცევასა და ცოდვილს ცხოვრებასაო; სტაცა ხელი და სავარძელში ჩასვა. დედოფალი შეშინდა და კივილი მორთო. ეშინოდა: ჰამლეტი უთუოდ შეშლილია და არა ამიტეხოს-რაო. ამავე წამს ფარდებიდგან საშინელი ყვირილი მოისმა: გვიშველეთ, დედოფალი დაიხსენით, დედოფალი დაიფარეთო. ჰამლეტი კედლისკენ გაექანა: იფიქრა, ეს მეფე უნდა იყოს, უთუოდ მიყურყურებდაო, იშიშვლა ხმალი და გაიქნია იქით, საიდამაც ხმა მოისმოდა. ხმა შესწყდა. ჰამლეტი მიხვდა, რომ იქ ჩასაფრებული კაცი მოვკალიო; ფარდა გადაშალა და უსულო გვამი გამოათრია ფარდებიდამ.

ჰამლეტის სამწუხაროდ, გვამი მეფისა კი არ გამოდგა, არამედ მოხუცის პოლონიოსი, რომელიც მეფეს ჯაშუშად გამოეგზავნა და დედა-შვილის ლაპარაკს უყურყურებდა თურმე. „ოჰ, უბედურო ჩემო თავოო", — დაიყვირა დედოფალმა: «როგორი საზიზღარი საქმე ჩაიდინე, საცოდავო ჰამლეტო!» — „დიაღ, დედი, ეგ სასიხლო და საზიზღარი საქმეა, მაგრამ ეგ იმდენად სჯულ-გადამავალი საქმე არ არის, როგორც თქვენ მოიმოქმედეთ: თქვენ მოჰკალით მეფე და გაჰყევით ცოლად იმისს ძმას," სთქვა ჰამლეტმა. ეს სიტყვები არ აკმარა დედას; გარდასწყვიტა: უნდა ვუთხრა ყველაფერი, რაც ამდენი ხანია მოსვენებას არ მაძლევს და რაც გულზე მახვევიაო და მოჰყვა: „შვილმა ყოველთვის უნდა მიუტევოს მშობელს შეცდომა, თუ იგი მეტად მძიმე არ არის, მაგრამ თუ დედის შეცდომა ძრიელ მძიმეა, შვილს შეუძლიან მკაცრად მოეპყრას. ასეთს მკაცრს საქციელს კარგი გავლენა აქვს ხანდახან სჯულ-გადამავალზე, ხშირად ჭეშმარიტების გზაზედ აყენებს და სწორედ ამიტომ მიეტევება შვილს დედისადმი სასტიკი მოპყრობა!" აი, ახლა ჰამლეტი ამ საშინელის სიტყვებით მოსდგა დედის მხილებას: „უნდა მოგაგონო, რა უეცრად დაივიწყე შენი პირველი ქმარი, საზიზღარის მკვლელობის შემდეგ რა აჩქარებით გაჰყევი ქმრის მკვლელს. შემდეგ ასეთის საქციელისა, შემდეგ ასეთის ფიცისა, რომლითაც მამა ჩემს აღგზნებულს სიყვარულს უმტკიცებდი, განა შეიძლება-ღა, რომ ქალის აღთქმა კაცმა ირწმუნოს! შემდეგ ამისა აღარა მრწამს ქალის კეთილ-მოქმედება, ან რაღა ყოფილა თვით ქორწინება? იგი უაზრო და მოსატყუებელი ფიცი ყოფილა, ხოლო სარწმუნოება და სჯული-კი — მასხრობა. ცას, ცასაც-კი სისხლით შეჰღებავს ასეთი საზარელი სჯულ-გადამავლობა. ნუ თუ, დედოფალო, მიწა მიიღებს შენს გვამს!!" მერე მიუთითა ორს სურათზედ — ერთი პირველის ქმრისა იყო და მეორე უკანასკნელისა: „შეხედე, რა განსხვავებაა ამათ შორის! მამი ჩემის სახე წყნარი და კეთილია, ამ სახეს ღვთის მადლი ამეტყველებს. შეხედე ერთი იმისს მშვენიერს თავ-პირს: იუპიტერის შუბლი, აქვს მარსის თვალები, აპოლონის ხუჭუჭი თმა, მერკურის ტანადობა, სიმაღლით თითქო ცასა სწვდებაო. აი, ეს კაცი იყო შენი ქმარი". მერმე მიუბრუნდა თავისს ბიძის (მეორე ქმრის) სურათს და სთქვა: „ეგ აირჩიე იმის მაგივრად? ეგ, რომელსაც მწეირისა და ჰუჰყის გამომეტყველება აქვს მხოლოდ, ეგ ქანგი, რომელმაც თავისი მკვიდრი და ღვიძლი ძმა მოსწამლა!!" დედოფალს სირცხვილის ალი შემოენთო, სინიდისმა ქენჯნა დაუწყო. შვილის ასეთმა შეუბრალებელმა მხილებამ ჩაახედა თავისს სულსა და გულში; დიაღ, დედოფალმა ჩაიხედა თავისს გულსა და სულში და საზარლად, მახინჯად და შავად მოეჩვენა ერთიცა და მეორეც. „განა ამის შემდეგაც მეგობრულად იცხოვრებ შენის ქმრის მკვლელთან, რომელმაც ქურდულად მიითვისა ტახტიო", დასძინა ჰამლეტმა. კიდევ უნდოდა განეგრძო მხილება დედისა, მაგრამ უეცრად მოეჩვენა მამის აჩრდილი იმავე სახით, როგორც ადრე ეცხადებოდა. ჰამლეტი შეშფოთდა და ჰკითხა: რა გნებავს ჩემგანაო. აჩრდილმა უსაყვედურა: გაიხსენე, რომ მეფისათვის უნდა გადაგეხადა სამაგიერო, აღთქმისამებრ, და ეგ აღთქმა სწორედ რომ გავიწყდება. გთხოვ დააწყნარო და დაამშვიდო დედა შენი, თორემ მწუხარება და შიში სიცოცხლეს მოუსპობსო". აჩრდილი ჰამლეტის მეტს არავის დაუნახავს, თუმცა ანიშნებდა თავისს დედასაც და ეუბნებოდა: აი აქ არის, აქაო, აი, აგერ მოვიდა, აი, იქ მიდისო, ასეთია, ისეთიაო, მაგრამ დედოფალმა თვალი ვერას მოჰკრა და ამიტომ იმისი დაჯერება მოუხერხებელი იყო. მეტის-მეტს საშიშროებაში ჩავარდა გერტრუდა, როცა დაინახა, რომ ჰამლეტი ვიღაცას ელაპარაკებოდა და ოთახში-კი არავინა სჩანდა. ახლა გადაჰკრითა სთქვა: ჰამლეტს უთუოდ შეშლილობის ზნემ მოუარაო. მაგრამ ჰამლეტი თავ-გამომეტებით აჯერებდა დედას: „არ იფიქრო, რომ ჩემი მოგონილი იყოს აჩრდილიო, იგი შენმა ცოდვამ გამოიწვია საფლავიდამაო, აი დასამტკიცებლად გამისინჯე მაჯა თუ ჩვეულებრივ არ მიცემს და გონებაც, მაშასადამე, მთელი მახლავსო. ტყუილად თავს ნუ ატყუებ, ნუ ჰფიქრობ, ეგ ყველაფერი ტყუილი და მოგონილი იყოს, ვითომ მე შეშლილი ვიყო და არაფერი აჩრდილი არ მენახოს; უმჯობესია, ჩემი ვედრება და რჩევა გაიგონო: წარსდგე განგების წინაშე და შეევედრო ღმერთს, რომ შეგინდოს ცოდვა, მოგცეს ღონე განეშორო მეფის კრებულს და გულციად ეპყრობოდე შენს ულირსსა და ცოდვიანს ქმარს და თუ დაამტკიცებ, რომ თქვენ შეინანეთ ცოდვები და ხელ-ახლად სასოებითა და სიყვარულით გაიხსენებთ უწინდელს ღირსეულს ქმარს, მამა ჩემს, მაშინ ვიშუამდგომლებ წინაშე იმისის აჩრდილისა, რათა მოგიტევოს შეცოდებანი. დედოფალმა პირობა მისცა და თითქო საქმე ამითი გათავდა.

ამ სიტყვების შემდეგ ჰამლეტი დაშოშმანდა და სინჯვა დაუწყო, ვინ მოვკალიო, ნახა, მაგრამ რა ნახა! ნახა, რომ მოუკლავს პოლონიო, მამა მშვენიერის ოფელიასი, რომელიც აღუწერელად და გატაცებით უყვარდა. გაათრია გვერდზე სისხლში გასვრილი მოხუცი და, როცა მღელვარე გული და გონება დაუწყნარდა, დაფიქრდა და საშინელს სინანულში ჩავარდა.

სამ. ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

ბლის მოქმედების ანგარიში ათის წლის განმავლობაში—1877—1887 წლამდე.

| წელიწადი | რიცხვი მოსწავლეთა |
|---|---|
| $187^{7}/_{8}$ | 60 |
| $187^{8}/_{9}$ | 92 |
| $18^{79}/_{80}$ | 118 |
| $187^{0}/_{1}$ | 141 |
| $188^{1}/$ | 135 |
| $188^{2}/_{3}$ | 159 |
| $188^{3}/_{4}$ | 192 |
| $188^{4}/_{5}$ | 216 |
| $188^{5}/_{6}$ | 233 |
| $188^{6}/_{7}$ | 264. |

სულ ათს წელიწადში მოსწავლეთა რიცხვს 4,4 ჯერ უმატნია. ამ სასწავლებელში წელს უფრო ბევრია მოსწავლე და უმეტესობას მათგანს ქართველობა და სომხობა შეადგენს. საზოგადოების თავს-მჯდომარედ იყო წარსულს წელს ისაი იაგორის ძე ფითოევი, თავს-მჯდომარის ამხანაგად ქ. ალიხანოვი, ხოლო განყოფილებათა დირექტორებად: თ. ი. ანდრონიკაშვილი, ა. მიზანდარი და ქ. საეანელი.

⁂ **ბოჟე ჭრომისლიდგან** გვწერენ: ჩვენსკენ ჭირნახულის დიდი მოუსავლობა იყო; ერთს მეათედს არ მოსულია წლის საკმარისი პური. პურის ფასმა ძალიან აიწია, ხალვარი (25 ფუთი), რომელიც წინად ფასობდა 15—18 მანეთამდე, ეხლა 35 მანეთად ფასობს და უფრო მეტადაც. კიდევ კარგი, რომ ხალხი სამუშაოს ჰპოულობს.

⁂ სოფ. ბელაქნიდგან (ზაქათალის მაზრა) გვწერენ: „ისტორიულად განთქმულს ჩვენს დაბას დაუდგა ახალი ხანა ცხოვრებისა. ჯერ მაისშივე აქაურ მემამულეთ გიორგი და დავით გალაჯევების (ვაჩნაძეთა) თხოვნისა და მოხსენების გამო მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა პალლადიმ გადასწყვიტა ბელაქანში ეკკლესიის აგება და მღვდლის გამწესება. როგორც ეხლა შევიტყვეთ ნადვილის წყაროებიდგან, მღვდლად ამ ახალის მრევლისა დაუნიშნავთ და ამ ენკენისთვის დამდეგს უკურთხებიათ ახალციხელი ჯინჭველაძე. აქაური ქრისტიანები დიდად გახარებულნი არიან ამ ამბით და მოუთმენლად მოელიან თავისს მოძღვარს. რასაკვირველია, ამ ახალს ეკკლესიას ის მწარე ბედი არ ეწვევა, რომელ მაც იმსხვერპლა აქაური ეკკლესია 1863 წელს. ინგილოები რომ მოინათლნენ 1850—1855 წ., აქაც დაინათლა რამდენიმე ოჯახი და ხელახლა აკურთხეს ადგილობრივი ძველი ეკკლესია. მღვდელიც გამწესებული გვყავნდა, მაგრამ 1863 წელს, ჭარბელაქნელების აჯანყება რომ მოხდა, ეკკლესია დანგრეულ იქმნა და მღვდელიც განდევნეს. წინანდელ ეკკლესიის ადგილას ახლა კერძო სახლია აშენებული.

⁂ თელავიდგან გვატყობინებენ, რომ შიგ შუა ქალაქში, რიყეზე, რამდენიმე სამე კაცის თაოსნობით, ბოგირი გაუკეთებიათ. ამ რიყეზე წყალი მხოლოდ მაშინ მოვარდება ხოლმე, როცა მთაში ავდარია, სხვა დროს კი წყლის ხსენებაც არ არის. აი ამ რიყეზე გააკეთეს ბოგირი 30 ადლის სიგრძეზე, მაგრამ ვაი ამისთანა ბოგირს და ამისთანა გაკეთებას. ეს ბოგირი ჩამტვრეული და სრულიად გაფუტურებულია; დღე არ გავა, რომ კამბეჩი, ხარს, ან ცხენს ფეხი არ ჩაუვარდეს და ზოგჯერაც არ მოსტყდეს. უნდა ნახოთ, რა ტანჯვასა და ვაებაში არიან გლეხები, რომლებსაც ურმები ჩამოჰყავთ და საქონელს ეზიდებიან. ხარ-კამეჩი ხომ მუდმივ განსაცდელში არის, მაგრამ ზოგჯერ ადამიანებსაც არ ასცილდება ხოლმე ამ ბოგირზე რაიმე ხიფათი ამას წინად რამდენიმე მანდილოსანი მოდიოდა ძველის გალავნიდგან, სადაც დროს გასატარებელს საღამოზე ყოფილიყვნენ მიწვეულნი. მანდილოსნებმა როგორც იყო განვლეს ბოგირი, ხოლო ერთს ახალგაზრდა ქალს ფეხი ჩაუვარდა. ქალმა მართო ტირილი და შეშინებული სახლში ეტლით წაიყვანეს. ვგონებთ დროა, რომ ქალაქის დეპუტატებმა ყურადღება ათხოვონ ამ ბოგირს და ხალხს უსიამოვნება და ზარალი ააცილონ.

⁂ სოფ. გურჯემი (სენაკის მაზრა): საშინელებაა, ღმერთმანი! „ივერიის“ ნომერს ისე ვერ გაშლი, რომ არ ამოიკითხოთ ქურდობისა და ავაზაკობის ამბავი. ამა-და-ამ დღეს, ან ღამეს, მღვდელს, თუ გლეხსა, აზნაურს, თუ თავადს ავაზაკები დაეცნენ, სასიკვდილოდ დასჭრეს და რაც ებადა, გაალაგეს. ეს მით უფრო გულს გიკლავს, რომ ღამის რაინდები მომეტებულ ნაწილად დაუსჯელნი დანავარდობენ. სამი-ოთხიოდე წლის წინად სამეგრელოში ძრიელ შემცირდა ქურდობა. ადრინდელმა ზუგდიდის მაზრის უფროსმა ბ-ნმა სპ—გმა ისე მაგრად ჩასჭიდა ხელი ღამის რაინდებს, რომ სულ ერთიანად შეუკრა გზა და კვალი. ბ-ნმა სპ—გმა არამც თუ ქურდ-ბაცაცებს, იმათს მფარველსაც, მთავარ რაინდს, ისეთს ადგილას ამოაყოფინა თავი, რომ სხვები შიშმა და კრძალვამ შეიპყრო. მაგრამ ეს დროებით შეჩერებული სენი მალე აღსდგა მკვდრეთით. ეხლა ცარცვა-ქურდობა ისე გახშირდა სამეგრელოში, რომ იშვიათია ისეთი ღამე, როცა რომლისამე ოჯახიდგან ან ცხენი, ან ხარი, ან ფული არ წაასხან და არ წაიღონ. აი რამდენიმე მაგალითი. ა) 25-ს აგვისტოს გლეხი ჯ—ია ცოლ-შვილით სატირალში წასული და იქიდამ დაბრუნებულს, დაქანცულს გლეხს, საღამოს ცხენები ეზოში გაუშვია საძოვრად (ორი ცხენი ნათხოვარი ჰყოლია და ერთი თავისი); ცოტა რამ იახშმა თურმე და ძილს მისცა თავი. თქვენს მტერს ისეთი ძილი! განთიადისას წამოდგა საწყალი გლეხი, მოიფშვნიტა თვალები და გავიდა ცხენების სანახავად, მაგრამ სამივე ცხენი წაესხათ რაინდებს. ეხლა რა შემოსავლიდგან უნდა უზღოს გლეხმა პატრონს ორი ნათხოვარი ცხენი?! ბ) ორი ცხენი 26 აგვისტოს შუაღამის ორს საათზედ ა—ნს ეზოდგან, სადაც საძოვრად ჰყოლია გაშვებული, გადაიყვანეს. ცხენებით როდი დაკმაყოფილებულან. სარეცხი დარჩენიათ გარედ დაკიდებული და ისიც თან გაუყოლებიათ (ხელს ხომ არ დასწვამდა?). გ) აი მესამე და უფრო სასაცილო ამბავი რაინდების ცხოვრებიდამ: გლეხს ნ. მ. თავისი ცხენი სახლში შეუყვანია და იქ დაუბამს, თვითონ-კი შესავალ კარებთან გაწოლილა, ბერდანის თოფი თავით დაუდვია და დასძინებია. სწორედ იმ დროს სტუმრებია ღამის რაინდები, უნახავთ მძინარე გლეხი, რომელსაც თოფი თავით ედვა. ჯერ თოფი აუცლიათ, მერე გლეხი აუღიათ და მეორე ადგილას „დაუსვენებიათ“, თვითონ-კი შებრძანებულან სახლში ცხენის გამოსაყვანად. გლეხს გამოჰღვიძებია, მაგრამ შიშით ხმა ველარ ამოუღია. ან როგორ ამოიღებდა, როცა ერთი ავაზაკთაგანი ამოღებულის ხანჯლით თავზე წასდგომია და უთქვამს: „კრინტი არ დაძრა, თორემ შუაში გაგჩეხო“. გამოუყვანიათ ცხენი და თითქო აქ არაფერია, ისე გამგზავრებულან თავიანთის გზით.

რამდენი ამისთანა შემთხვევაა, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი?! ხანდისხან ამ თავხედ მელამურეებს ჩაიგდებენ ხოლმე ხელში, მაგრამ თავდებობით ანთავისუფლებენ; გაბოროტებული მელამურე-კი ჯავრს იყრის თავისს მტრებზე: დღისით მუშაობით დაღლილს ღამით ძილს და მოსვენებას უფრთხობს, ადრინდებულად თავისუფლად დანავარდობს.

ბ-ნი ი. ა., რომელიც ადმინისტრაციის წევრია, სცდილობს გამოამჟღავნოს ღამის რაინდები და მაზრის უფროსის ნებართვით რამდენიმე საეჭვო კაცი დააპატიმროს.

## მართებლობის განკარგულებანი

30 აგვისტოს მიიღეს პორუჩიკობა შემდეგმა ქართველებმა: გველესიანმა, მეიფარიანმა, თ. სიდამონ ერისთავმა, ჩიქოვანმა, მაჩაბელმა (გიორგიმ), ფავლენიშვილმა, გამყრელიძემ და თ. ბარათაშვილმა, თ. თარხან-მოურავმა, მეიფარიანმა და ნათიშვილმა, კვინიხიძემ, ფირადაშვილმა, ჯავროვმა და თ. თარხან-მოურავმა, თ. ფავლენიშვილმა, ლუკიანოვმა, გაგანიძემ, მდივანიშვილმა, წიკლაურმა, ბარამველოვმა, ოდიშელიძემ, წინამძღვრიშვილმა, ლოლაძემ, ჩიკაძემ, ჩხეიძემ, ჯანდიერმა, არდაზიანმა, აბაშიძემ, დაფქვიაშვილმა, ქორქაშვილმა, ღორჯაევმა, ციციშვილმა, ჩხეიძემ, ჩხიკვიშვილმა, დევდარიანმა, შანშიაშვილმა(?), თ. ვაჩნაძემ, თ. ბებუთაშვილმა(?), ლუბენაძემ, თ. ანდრონიკაშვილმა, ჯაფარიძემ, თ. ჩიქოვანმა, გიუამყრელმა და მილანიშვილმა (იოსებ).

ებოძა ორდენი წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხისა განჯის გუბერნატორს, გენერალ-მაიორს თ. ალექსანდრე ნაკაშიძეს.

## დაბა & სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. წინარეხი** (გორის მაზრა), 2 სექტემბერი. მოიმკო და ილეწება კიდეც! მაგრამ რა მოიმკო და რა ილეწება? მოიმკო ცარიელი ბალახი და ილეწება ცარიელი ბალახი. თვალები სტკივა ადამიანს, როცა ჰხედავს გამოხიავებულს ზვავს კალოზედ; წითლად ხომ არ იყურება ხვავი, არა, რაღაცა მოშავო ფერი დასცემს, ისე გამოიცქირება და გულსა სწყვეტავს მნახველს! ნეტა ბლომად გამოდიოდეს და ჯანი გავარდეს, როგორც იქნება გაუძლებს კაცი, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ გამოსავალიც არა აქვს! ერთის დღის მიწას ერთი ურემი ძნა ძლივს ადიოდა და ერთს ურემს ნასვეარ კოდი, ერთი კოდი ძლივს ადის და აბა რა მოელის მიწის მხვნელს! რამდენსამე გლეხს ხუთხუთი და ექვს-ექვსი დღის მიწა სრულიად მოუცდათ, ისე მოუცდათ, რომ ნამგალი აღარ შეუტანიათ მიწაში, რადგანაც ზოგი სულ თაგვისაგან იყო მოძოვილი, ზოგი უხვის წვიმისაგან სრულიად ამომპალი. ასე რომ მაისის ხშირმა წვიმებმა ზარალის მეტი არა მოუტანა-რა სოფლებს: ყანები ამოალპო ხშირმა წვიმამ, მომეტებული ბალახი მოჰქრია ნათესს პურს. რადგანაც მიწის მხვნელმა ნახა, რომ წელს ნოტიო გაზაფხულიაო, ადგა და სიმინდები ბლომად დათესა; მაგრამ ვერც აქ მოიგო საქმე: წვიმების გამო სიმინდებს ვერა სთოხნიდნენ დროზედ და ბალახ-მორეული სიმინდი სულ ერთიანად გაფუჭდა; წვიმების შემდეგ სთოხნიდნენ, მაგრამ სიმინდი უკვე გაფუჭებული იყო და თოხნამ აღარაფერი არ უშველა, ასე რომ სიმინდის მოსავალიც ძალიან სუსტად იქნება. ვენახების საქმეც ძალიან ჭიმვით არის: სულ დანაცრულ, მარცვლებ-გამოშრეტილ მტევნებს უცქერის ვენახში შემსვლელი კაცი და უსკდება გული, მეტადრე იმას, ვინც ღვინით მოელის ვალის გადაწყვეტას. ერთის სიტყვით, წელს ნაკლებად არის სუყველა მოსავალი; ასე გასინჯეთ, ხილსაც-კი არ ასხია კაკლების მეტს. პურისა და ღვინის უქონლობის გამო, ზოგიერთების სამწუხაროდ, ქორწილებიც ხშირი არ იქნება.

სწორედ ამ უჭირნახულო წელიწადს-კი მეტად საქმეს აჭირებენ ეს მეჭურჭლეები და მესაზამთროეები! მოჰყოლიან, ბატონო, და ჰზიდავენ და ჰზიდავენ ჭურჭელს თუ საზამთროს ჭირნახულზედ გადასაცვლელად. საცოდავი გლეხის დედაკაცი ხომ ჭიჭინაა ჭურჭლისას! რაც უნდა და არ უნდა, მიაჩენინებს სახლისაკენ სადომხლე დიდრონ ქილებს, გუთნის ჯერის ქოთნებს, თუ ხელადებს, კოკებს, ხელ-კოკებს, ლიტრებსა და სხვ. ამ თვითეულ წაღებულ ჭურჭლითმეჭურჭლეს აძლევს ორ რწყავ ნახევარს ჭირნახულს და საზამთროდ-კი მშივრებს უშვებს თავისს პაწია ამოხმილ-აბრანძულს შვილებს. მეჭურჭლეებიც სცდილობენ ჭურჭლის მალ-მალე ზიდვას, რადგანაც თუ არ ამისთანა დროს (კალოობას), მეჭურჭლე პურს ვეღარ იშოვნის იაფად და ადვილად. უმეცარმა გლეხის დედაკაცმა, ეტყობა, არ იცის, რომ „ზღვა კოვზით დაილევაო“. იმისი ორმოც წვრილ-წვრილად იცლება და იცლება. ჭურჭელს კიდევ ჯანი და სული წაუღიდეს, იხმარებს მაინც კაცი, თაროს მაინც დაამშვენებს ადამიანი! საქმე ამ საზამთრომ გაასჭირა! მოდის და მოდის ურემი ურემზედ და ნეტა გაჩვენათ, რა საზამთრო მოაქვსთ! სწორედ პატარა ყმაწვილის თავის ოდენებია და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოუსვლელი, მკვახე საზამთრო უნდა იყოს. ახლა რა ხელში გლეჯით იტაცებენ მყიდველი გლეხები! საზამთროს ურემი ხომ აღარა სჩანს, ისე გარს შემოერტყმიან ხოლმე და ყიდულობენ ყოველ სამ საზამთროს ორ ჩანახ პურად (ერთი ჩანახი ოცი გირვანქაა). და ახლა როგორ შეექცევიან ამ სრულიად მოუსვლელს საზამთროს, რა სიამოვნებით გრილდებიან დაღალულ-დაქანცულნი მუშაობისაგან ამ საზამთროთი, რომლის გასიფრიფანავებულ ქერქებს და ისვრის აქეთ-იქით მჭამელი. საკვირველი და საოცარიც არის, რომ ამ მთელ 52 კომლიანს სოფელში ამ საძაგელის საზამთროსაგან ავად არავინ გამხდარა ჯერ და დიდი საღიანობა ჰსუფევს სოფელში. მაგრამ, ვინ იცის, იქნება აქაურმა სადმა ჰაერმაც ვეღარა უშველოს-რა მკვახე საზამთროს მჭამელებს და რამე საშინელი ავადმყოფობა გავრცელდეს ხალხში. ღმერთმა-კი ნუ ჰქმნას! ჯვარი აქაურობას!

სანდან

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მე-163 №-ში დაბეჭდილი იყო ნიკო ხუციშვილის შენიშვნა, ვითომ მე გამოვართვი ეკ. გ—ს 52 მან. ხუციშვილისათვის გადასაცემად 1881 წ. და ვითომ აქამდისინ არ გადამიცია. 1881 წ. მე გახლდით განჯაში და, როგორც მახსოვს, იმ ზაფხულს მგონია სულ არ გამართულა წარმოდგენა ახალქალაქში. ან იმ სიშორეთ როგორ მოვასწრებდი პირადად 52 მანეთის გამორთმევას, არ ვიცი. ჩემის თაოსნობით იყო გამართული ერთი წარმოდგენა 1880 წ, რომელზედაც ნიკო ხუციშვილი ამბობს და გაბედული დადადებს კნეინა ნინო ორბელიანის თაოსნობასა და ღვაწლზედ. სწორედ ის წარმოდგენა იყო ჩემი გამართული, რომლის ნაღდი ფული ჩავაბარე ნიკო ხუციშვილს, 50 მანათი კი არა, 48 მანათი, კოტე გაბაევისა და ზოგიერთ მოთამაშეთა თანდასწრებით.

მე ეს 48 მანეთი მივიღე, მგონია, ზოგი ეკ. გ—საგან და ზოგიც სხვა-და-სხვათაგან, რადგანაც მაშინ ყველა მოთამაშენი ჰყიდდნენ ბილეთებს და სხვათა შორის თვითონ ხუციშვილიც, რომელმაც მე არ ჩამაბარა ფული, რადგან სკოლისთვის იყო ეგეც და მე უნდა მომეცეთო. არ ვიცი კი რამდენისა ჰქონდა ბილეთი. კნეინა ნინო ორბელიანმა მიიღო მონაწილეობა თამაშობაში იმიტომ, რომ ეკ. გ—მ დამაბრკოლებელის მიზეზის გამო ვერ ითამაშა ვარდუას როლი „უჩინ-მაჩინის ქუდში“.

პირველი წარმოდგენა გაიმართა ახალქალაქში ეკ. გ—სა და გრ. ალ. თარხნიშვილის თაოსნობით 1877 წ. 20 ივლისს. ამის მეტი ფული არა ყოფილა ჩემს ხელში წარმოდგენისა, რომელიც ჩაებარდა ნ. ხუციშვილს. ამას მიმოწმებს ყველა მოთამაშე და კნ. ბ. თარხანოვისა. როცა სკოლისთვის ვთამაშობდით, რატომ გაზეთით არ ვაძლევდით ანგარიშს, ამისი მიზეზი კარგად იცის თვითონ ნიკო ხუციშვილმა.

კნ. ნინო ლუკას ასული თარხნიშვილი

## წვრილი ამბები

ბერლინის გაზეთ „Tageblatt“-ს ერთი შემდეგი საინტერესო ამბავი მოჰყავს პრუსიის მეფის ფრიდრიხ-ვილჰელმ მე-IV-ის ცხოვრებიდგან: «1818 წელს ქალაქს ბადენში ზაფხულისას საღამოზედ რამდენიმე კაცი შეიკრიბა თურმე ბანქოს სტოლს ახლო. ყველანი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს თამაშობასა და გულის ძგერით ელოდებოდნენ, აცა, ვინ მოიგებს და ვინ წააგებსო. ამ დროს მოვიდა თურმე სტოლთან ერთი ლამაზი და წარმოსადეგი ყმაწვილი კაცი სამხედრო ტანთსაცმელში, რომელსაც მოხურული ჰქონდა ზემოთი ჩასაცმელი. ამ ყმაწვილმა კაცმა აათვალ-წაათვალიერა მოთამაშენი, მერე ვერცხლის ფული ამოიღო და თითონაც თამაშობაში გარევა მოიწადინა. ბანკომეტმა და იმისმა ამხანაგმა, რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილოდ შეჰხედეს ამ ყმაწვილს კაცს და სხვებსაც გაუკვირდათ თურმე ამ უბრალო ფულის ჩამოსვლა, რადგან თამაშობა გაცხარებული იყო და ყველანი ოქროზედა თამაშობდნენ. ამასობაში ყმაწვილის კაცის მიერ ჩამოსული თეთრი ფული მოიგო ბანკომეტმა, ზიზღით შეაგდო თურმე სტოლს ქვეშ და დაცინვით წამოიძახა: „არა უშავს-რა! მსახურისთვის გამოდგებაო!“ ყმაწვილს კაცს სიბრაზით ლოყები წამოუწითლდა თურმე, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა და გამოაცხადა: „Va banque“. ყველამ გაოცებით შეჰხედა, რადგან 30,000 მან. უნდა ჰქონოდა, რომ ეს სიტყვები ეთქვა. ბანკირს ფერფერი ეცვალა თურმე და გამოაცხადა: ვინიცობაა მოვიგე, თავსმდები ვინ არის, რომ ეს ფული მომეცემაო. ყმაწვილი კაცი წელში გასწორდა, გადაიხსნა ზემოთი ჩაცმელი, დაანახვა გულზედ ვარსკვლავი შავის არწივისა და წამოიძახა:

„მე პრუსიის მემკვიდრე პრინცი გახლავართ!“ ყველა აირ-დაირია თურმე, ბანკომეტი გაფითრდა და მკვდარს დაემსგავსა, დაიწყო ქაღალდის დარიგება და წააგო. მემკვიდრე პრინცმა სრულიად გულ-დინჯად აიღო 30,000 მან. და სთქვა: „არა უშავს რა! მსახურისთვის გამოდგება!“—შეაგდო სტოლს ქვეშ და გავიდა დარბაზიდგან.

— განთქმული ავტორი „ბიძია ტომის ქოხისა“, ქ-ნი გერრიეტ ბიჩერ-სტოუ ძალიან მძიმედ არის თურმე ამ ჟამად ავად. ეს პატივცემული მოხუცებული ქალი სცხოვრებს ნიუ-იორკს ახლოს, ველარაფერს აკეთებს თურმე და მაგარს საჭმელსაც ვერ იჩელებს.

— ლონდონელი გამომცემელი ზოლას რომანებისა, ჭენრი ვიცეტელლი, ამას წინად სასამართლოში გაუმტყუნებიათ ზოლას აღკრძალულ რომანების „Nana“-სა და „La Terre“-ს გამოცემისათვის. თუმცა ვიცეტელლის დამცველი ამტკიცებდა თურმე, რომ ზოლას რომანი მაღალის ზნეობითის აზრით არის დაწერილიო, მაინც საქმე წააგო და ეს გამომცემელი თავდებობის ქვეშ გამოუშვიათ. დაუბეჭდიათ თუ არა ეს ამბავი სალამოს გაზეთებს, მაშინვე ყველა წიგნის მეიდველთ აულაგებიათ შიშის გამო ზოლას რომანები და მიუჩქმალავთ.

— როდის არის ჩანგალი მოგონილი? ამას წინად პესტუმს ახლო ერთს გორხანაში უპოვნიათ ჩანგალი, რომელიც ამ ჟამად დაცულია იტალიის „Museo Nationale“-ში. ეს ამბავი აშკარად ამტკიცებს, რომ ჩანგალი რომაელებს იმავე საჭიროებისთვის უხმარიათ, რისთვისაც ჩვენა ვხმარობთ. ამ ჩანგლის აღმოჩენამდე ისე ეგონათ, რომ ეს იარაღი მეთოთხმეტე საუკუნეში უნდა იყოს გამოგონილიო, რადგან კარლ მე-V ქონების სიაში პირველად არის მოხსენებული 1379 წელსა. იმ დროის ჩანგლები ძალიან პატარა ზომისაა, მხოლოდ ორი კბილი აქვს და მეორე ბოლოზედ კოვზი აბია და პესტუმს ახლო ნაპოვნს ჩანგალს-კი ხუთი კბილი აქვს. ჯერ ჭენრის მე-III დროსვე ჩანგალს მარტო მეტად მდიდარი და შეძლებული ხალხი ხმარობდა. ინგლისში ჩანგლის ხმარება შემოვიდა მხოლოდ იაკობ I-ის დროს. ისპანიაში უფრო გვიან შემოიღეს და ყველა ჩანგლებს მეორე ბოლოზედ კოვზები ჰქონდა. ცნობილი არ არის, თუ როდის შემოუღიათ ეს სუფრის იარაღი გერმანიაში.

— ამას წინად ვენის სასამართლოს ვიღაც კარლ ერნსტისათვის რაღაც დანაშაულის გამო სამის თვით ციხეში დაპატიმრება გარდაუწყვეტია და არ შეუწყნარებია ვექილის სიტყვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ერნსტი სრულის გონების კაცი არ არის, მკურნალთ გაასინჯვინეთ და სიმართლე მხოლოდ მაშინ გამოირკვევაო. ერნსტის ვერ აუტანია სირცხვილი და თავი მოუკლავს. როცა მოკლულის გვამი გაუკვეთიათ, ერნსტის ტვინი მართლა შერყეული აღმოჩენილა და ამის გამო სასამართლოს ერნსტი გაუმართლებია. ცოტა გვიან მიუგნიათ მსაჯულებს მართლისთვის!

— ყივრიბერგს ახლო სამს დედაკაცს, ერთის მემამულის მოჯამაგირეთ, ამას წინად უმუშავნიათ მინდვრად და დაუნახავთ შორიდგან, რომ რკინის გზის მატარებელი მომავლებულა შავანსიდგან. მოუფიქრებიათ, რომ მოდით და როგორმე შევაყენოთ მატარებელიო. ამ განზრახვით გაწოლილან ლიანდაგზე და მოურთავთ ხმა მაღლა ღრიანცელი. მატარებელზე გაუგონიათ ეს ხმა და მაშინვე შეუყენებიათ, ხოლო ეს გლეხის დედაკაცები-კი სიცილითა და ხარხარით წამოცვივნულან და შესდგომიან კვლავ თავისს საქმეს. რკინის გზის გამგეობას განუზრახავს ქალებს უჩივლოს სასამართლოში. სულელური ხუმრობა თუ გინდათ, აი, ეს არის!

# დეპეშა

6 სექტემბერი

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება ვიქტორიიდგან (ბრიტანიის კოლუმბია), რომ ახლად მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, რუსეთის გემს შეუპყრია ერთი აქაური შხუნა „არიანსი“; ეს შხუნა თურმე ხელაპს იჭერდა ერთის კუნძულის მახლობლად და ერთს სხვა შხუნას თოფ-ზარბაზანს ესროდა.

პეტერბურგის ბირჟა, 6 სექტემბერი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 70 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 151½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 20 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 261 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 237 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

8 დღე ხუთშაბათი. დაბადება ყოვლად წმ. ღვთის მშობლისა. კათოლ. იგივე. სომეხ. იგივე. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა. —პირველად გაიმართა ტფილისის პროგიმნაზია, 1873 წ.—გაიმართა საქართველოში მე-5 საარხეოლოგიო კრება, 1802 წ.—ჭეშმარიტი შუადღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—1. მთვარე 15 დღისაა.

9 დღე პარასკევი. წმიდათა იოაკიმესი და ანნასი. კათოლ. წმ. სტეფანისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—46, ჩადის 6—0. მთვარე 16 დღისაა.

10 დღე შაბათი. წამ. ლუკასი და კლიმენტისა. კათოლ. გიაცინტასი. სომეხ. ჯვართ-ამაღლების წინა დღე. თევზეული და ერბოული ეჭმევათ. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 5—58. მთვარე 17 დღისაა.

11 დღე კვირა. წამ. თევდორესი. კათოლ. თევდორესივე. სომეხ. წმ. ჯვართ-ამაღლება (ხაჩვერაცი). მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 5—56. მთვარე 18 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. წამ. ათანასესი. კათოლ. ვალერიასი. სომეხ. მერელოცი (გარდაცვალებულთა სულის მოხსენების დღე). მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გორში დაარსდა ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო სემინარია, 1877 წ.—ჭეშმარიტი შუადღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—55. მთვარე 19 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | |
| მე-3 — | „ | „ |
| მროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

# განცხადებანი


## ტფილისის საბოლოსნო სკოლაში

საცა ხეხილის გასაშენებელი ბაღი იყო, მუშტაიდის გვერდზე, ფეპირთულოგთ მომზადებას ფოთლებისა, ყვავილებისა და მწვანილისაგან დაწნულის ხვეულებისას, ანუ გირლიანდებისას ფანჯრებისა, კარებისა, კედლებისა და სხვათა მოსართავად. იქვე ისყიდება ყოველ გვარი მცენარე და ფოთლები სახლების მოსართავად. (10—3)

ნამდვილი საუნჯეა
ყველასთვის განთქმული წიგნი
### თავის მოვლა
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—33)

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
### მამიდა ასმათი
მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

## სასწავლებელი და პანსიონი
ი. რ. მრევლიშვილისა

ნიკოლ. ქ., სახლი № 21, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ამზადებს ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლებისათვის. დაწერილებითი პირობანი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით სასწავლებელში. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბერს. (10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
## წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენი, ლი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საუმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი. | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |

მზადდება და ამ დღეებში გავხსნით სასტუმროს
## პურ-ღვინო
გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლებში, სადაც აქამდე ეჭირა დიდ-ზურაბოვს. როგორც ბუფეტი, აგრეთვე ოთახები სრულებით ახლად იქნება გალამაზებული და გადაკეთებული. ევროპიულ საჭმელების გარდა „პურ-ღვინოში“ მსურველი იშოვნის ყოველ გვარ კავკასიურ საჭმელებს, ქართულს, იმერულს, გურულსა და სხვას, ნამდვილს ადგილობრივს გემოვნებაზედ მომზადებულს. კავკასიურ საჭმელების მოსამზადებლად განგებ მოწვეული გვყავს ადგილობრივი მზარეულები. ფასები ყველაფრისა ზომიერი იქნება.

(3—2) ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე

## საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის.
წელიწადი მეშვიდე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1888—89 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყობა 25 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე სალამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნავთლის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—6)

## სკოლა და პანსიონი
მ. ა. ნასიძისა

(ქუთაისში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თთვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—10)


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე